

ЖИТЬ  
Минутахъ.

# შინაშორი საქმეები.

№ 12.

შასი ერთი შაური

წლიური შასი + შას.


წელიწადი შექმნა.

შოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 31. მარტი 1913 წელი.

შინაშორი: 1) არჩილ ჯორჯაძე (ნეკროლოგი) 2) ჩვენი დიდი სენი-შური—მლ. ს. მაკარაშვილი; 3) არჩილ ჯორჯაძის ხსოვნა—რ. საჯავახოელი; 4) არჩილ ჯორჯაძის ვადაცვალუმის გამო; 5) სამშინის დეპეშები და წერილები; 6) არჩილ ჯორჯაძის დაკრძალვა; 7) საუბრები—ა. პ-სი; 8) მადლობის გამოცხადება.

ამ ნომერში მე-12 გვ. შემდეგ იკითხეთ მე-14, მე-14 შემდეგ მე-13, მე-13 მე-15. გაზეთის კითხვის დროს ვთხოვთ იქონილოთ სხეში ასეთი გვერდების გადარევა.



არჩილ ჯორჯაძე.



† არჩილ ჯორჯაძე.

ბათომიდან გულშემზარავი ამბავი გვეუწყა: 21 მარტს, საღამოს 11 საათსა და 35 წუთზე გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე.

დაუნდობელმა სენმა იმსხვერპლა ისეთი ადამიანი, რომელიც სულით და გულით, ფას დაუდებელი შრომით და ენერგიით, მაღალი ნიჭით ქვა-კუთხედათ ედგა ქართველ საზოგადოებას, ქართულ მწერლობას, ქართულ საეროვნო საქმეს.

არჩილ ჯორჯაძე დაიბადა ტფილისში 1872 წ. 10 იანვარს. მამამისი, კონსტანტინე ქუთაისში მსახურებდა, სადაც მთელი ოჯახით გადავიდა საცხოვრებლად არჩილს გარდა მის დედ-მამას ჰყავდა კიდევ ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. სწავლა დაიწყო არჩილმა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ქუთაისის გიმნაზიიდან არჩილი თფილისის გიმნაზიაში გადავიდა და იქ კურსი დაასრულა 1892 წ. აქედან გაემგზავრა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. აი აქ, ამ ცივ ქვეყანაში, იჩინა თავი მის სხეულში საშინელმა სენმა — ქლექმა.

არჩილმა ბინა გამოიცვალა და ვარშავის უნივერსიტეტში გადავიდა, მაგრამ იქ რომ ცოტათი მოიკეთა, ისევ პეტერბურგს დაბრუნდა. ეხლა იგი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა და მიჰყო ხელი ფილოსოფიის თავდადებით შესწავლას. წელიწად ნახევრის შემდეგ, რადგან სხეულება კვლავ გაუახლდა, არჩილი საზღვარ-გარეთ გაეშურა და განაგრძო სწავლა პარიზსა და ლონდონში. იქ არჩილი გაიტაცა ტოლსტოის სარწმუნოებრივ ფილოსოფიურმა მოძღვრებამ.

1900 წ. არჩილმა ქართულ ეურნალ-გაზეთებში დაიწყო წერა და ამის შემდეგ გამოქვეყნებული სწერდა სიკვდილამ-

დე პუბლიცისტურ წერილებს. თუმცა სწეულება თანდათან უძნელდებოდა არჩილს, მაგრამ მწერლობის ეკლიან გზას არ გადასდგომია და დროებითაც არ გაუგდია კალამი ხელიდან. ამ უკანასკნელ ხანებში მან გამოსცა თავის თხზულებათა ოთხი ტომი და მეხუთეც დამზადებული დასტოვა. სულ დაბოლოს დასწერა დიმიტრი ყიფიანის მონოგრაფია, და კიდევ ჰფიქრობდა ილია ჭავჭავაძის მონოგრაფია დაეწერა, რომელიც გედევანიშვილმა შეუკვეთა თავის ძვირფას გამოცემაში ჩასართავად, მაგრამ სიკვდილმა ეს შრომის დამთავრება აღარ დააცალა.

არჩილ ჯორჯაძე სწერდა ქართველთა ჭირ-ვარამზე, ითვალისწინებდა მის სიავ-კარგეს, ზომავდა, აფასებდა და აღვიძებდა მიმქრალ ეროვნულ გრძნობებს. მისი მადლიანი კალამი ყველაფერზე მოგვიტხრობდა, სადაც საჭირო იყო ნათელს ჰფენდა, ჯანყ-ბურუსს ჰფანტავდა, „ერის ტაძრის ჩირქის წამცხებს“ სასტიკად სდევნიდა, საუკეთესო მომავლისათვის გზას გვიკაფავდა. ასეთი ადამიანის დაკარგვამ ყველა უნდა დააფიქროს და საგონებელში ჩააგდოს, რადგან მისი სიცოცხლის თვითეული წუთიც კი ძვირად უღირდა ქართველებს. ვინ იცის რამდენს რას შეგვძენდა იგი, თუ ცოტა ხანს კიდევ ეცოცხლა და ასე უდროოდ არ გამოსალმებოდა წუთისოფელს...

საუკუნოდ იყოს ხსენება პირუთვნელი დაულალავი მუშაკის, ჩვენი ქვეყნის მოამაგის და მოქირანახულე არჩილის.

მლ. კ. ანთაძე.

### ჩვენი დიდი სენი-მური

ერთს უღიდეს სენთავანს, ჩვენს შორის გაკრცელებულს, შეადგენს შური. ვინაიდან ამ სენით მოავალია შეპყრობილი და მისგან წარმოსდგება მოავალგვარი ბოროტება: მტრობა, ლალატი, სიძულვილი, შფოთი, ერთმანე-

თის ვაუტანლობა, დამკირება, ფარისცელობა და სხ., ამისათვის საჭიროა ვეცადოთ და ყოველი ძალ-ღონე ვიხმაროთ მისის აღმოფხვრისათვის. ბოლო რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ამ სენის ყოველივე ბოროტება, აგრეთვე გამოვჩინებოთ მისი საწინააღმდეგო საშუალებებიც, ამისათვის საჭიროდ და შესაფერად მიმიჩნია მოვიყვანო აქ წმ. ვასილი დიდის აზრები სხელებულის საგნის შესახებ. ამ მსოფლიო დიდი მოძღვრისა და მღვდელმთავრის სიტყვით ადამიანის სულში არ გაჩნდება შურზე უფრო დამლუბველი ვნება: შური უპირველესი და უახლოესი ბოროტებაა იმისთვის, ვინც მითია შეპყრობილი, იგი კოტა ვნებას მოუტანს სხვას; როგორც ვანგი რკინას, ისე შური ღრღინს ადამიანის სულს, მის მიერ შეპყრობილს; შურია გაფუჭება კხოვრებისა, შეურაცყოფა ბუნებისა, ბოროტება იმის შესახებ, რაც მოკემული გვაქვს ღვთისაგან, წინააღმდეგობა ღვთის მიმართ; შურიანს არასოდეს არ დაუტრეფებს დარდი და მწუხარება. შური არის მწუხარება მოყვასის კეთილდღეობაზედ. მოსავალი იქნება შეზობლის ყანაში, ნაყოფი რამ იქნება ვინმეს ოჯახში, სიხარული და კეთილდღეობაა გამეფებული ვინმეს სახლში, ყოველივე ეს საწყენი, თავზარდამცემი და შემანუხეხებელია შურიანი ადამიანისთვის. შენ ძლიერი ხარ სულით, მაგარი ტანის აგებულებით, ეს თავზარსა სცემს შურიანს, თუ ვინმე კარგია შეხედულობით, ესეც ახალი უბედურებაა შურიანისთვის, თუ რომელიმე უკეთესია სულიერი თვისებებით, ჭკუით, გონებით, სიტყვით, ან სიმდიდრითა და ქველმოქმედებით ყოველივე ეს გულს უკლავს შურიანს. და რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ყოველივე სიმძიმე ამ სენისა იმაში მდგომარეობს, რომ შურიანი ყოველ საშუალებას ხმარობს დაფაროს იგი. თუმცა თვალებს იბრმავეებს, არის მოწყენილი, შეშფოთებული, მწუხარე, მაგრამ რომ ჰკითხო მიზეზი მისის მწუხარებისა, რცხვენია გავიკვადოს თვისი უბედურობა და ვიპასუხო: „მე ვარ შურიანი და ბოროტი ადამიანი, მაწუხებს მოყვასის კეთილდღეობა, ვწუხვარ მოყვასის სიკეთეზე, ვერ გადამიტანია სხვისი ბედნიერება, მოყვასის სიკეთეს ვთვლი წემ უბედურებად“ ასე ვიპასუხებდა იგი, რომ სიმართლის თქმა უნდოდეს, მაგრამ იგი ამხელს რა თავის სენს, იგი ფარავს და ითმენე მას, რომელიც მუდამ სტანჯავს მის სულსა და გულს. შურიანი ადამიანისათვის არ არის არც ეჭმი და არც წამალი. იგი მოყუ-

თმენლად ელის რომ დაეცეს კეთილდღეობა მოყვასისა და იგი ბედნიერი უბედურად გადიქცეს. შურიანი მხოლოდ მაშინ ურიგდება მოყვასს და შეიქნება მისი მეგობარი, როდესაც დაინახავს მას მტირალსა და შეწუხებულს; მხიარულთან არ მხიარულობს, მწუხარესთან კი ცრემლებსა ღვრის, მაგრამ თუ გამოსთქვამს მწუხარებას მოყვასის ცხოვრების შეცვლისა გამო, ისიც არა კაცთმოყვარეობით და სიბრალულით გამსკვალული, არამედ მისთვის, რომ მოყვასის მწუხარება კიდევ უფრო გააორკეცოს. უქებს ადამიანს შვილს, როდესაც იგი გადაეცვლება მას, ათასნაირად შეამკობს მიცვალებულს სიტყვით, რომ იგი იყო კარგი შეხედულობის, ნიჭიერი, მუყაითი, ბეჯითი მაშინ როდესაც სანამ ცოცხალი იყო ენასაც არ დაასოვლებდა მასზე, მაგრამ დაინახავს რა რომ სხვებიც დაუწყებენ მას ქებას, მაშინვე შეშურდება და დაიწყებს ისევ მის ძაგებას. განცვირფდება და გაკვირდება სიმდიდრით, როდესაც იგი აღარ არის ტანის სიმშვენიერეს, ტანმრთელობას აქებს მაშინ, როდესაც იგი დაკარგულია. საერთოდ შურიანი მტირია მისა, რაც არის და მოყვარეა მისა, რაც დილუბა. რაღა იქნება ამ სენზე დამლუბველი! შურია გაფუჭება ცხოვრებისა, შეურაცყოფა ბუნებისა, ბოროტება იმის შესახებ, რაც მოგვანიჭა ღმერთმან, წინააღმდეგობა ღვთის მიმართ. რამ აამხედრა ეშმაკი ადამიანის წინააღმდეგ? შურმა. შურით იყო გამსკვალული კან ძმის მკვლელი. ეს სენია დედა მკვლელობისა, წახდენა ბუნებისა, დავიწყება ნათესაუობისა, ბოროტება აუწყრელი და დამლუბველი, შურია ძნელად დასაძლევია სახე ბოროტებისა. სხვა კულისა და ბოროტის მსურაელთ დაამშვიდებენ კეთილის მოქმედებით, შურიანს კი კეთილი საქმითა და მოფერებით უფრო გააბრაზებ, თითქმის რაც მეტს პატივისა სცემ მას, იგი უფრო ხელდება. შურიანი მხეცზეც უარესია, ძალღებს დაამშვიდებენ საქმელის მიძლევი, ლომებს და გარეულ ნადირებს აშინაურებენ მოფერებით, შურიანები კი უფრო ხელდებათ, რაც მეტს კეთილს უჩენენ მათ; შური უაზრო სენია, ნაკლულევანებაა. მოვიგანოთ ისტორია მართლის იოსებისა. ძმების შურმა გაისტუმრა იგი ეგვიპტეში, იგინი თავის ფუქრით ვითამც ხელს უშლიდნენ იოსებას დიდებას, მაგრამ ხელი კი შეუწყვეს მის ამაღლებას, რომ არ გაეყოდათ იოსები, იგი ეგვიპტეში ვერ მივიდოდა, არ შთააგდებდნენ

მას ციხეში, ვერ გაიკნობდა იგი ფარაონ მეფის მოსამსახრეებს, ვერ ახსნიდა სიზმრებს, ვერ გახდებოდა ეგვიპტეს უფროსად, თაყვანს არ სცემდნენ მას ძმები. შური შეუჩერებელი სენია. მოვიგონათ შური ებრაელებისა მაცხოვრისადმი. რისთვის აღივსნენ იგინი შურითა? იესო ქრისტეს სასწაულებისა გამო. მშიერნი ძღებოდნენ, მკვდრები ცოცხლდებოდნენ, ბოროტი სულელები იღვენებოდნენ, კეთროვანი განიწმინდებოდნენ, კუტები დადიოდნენ, ყრუები ისმენდნენ, ბრძენი ხედვიდნენ. ბოლოს ამდენი მადლისა და ცხოვრების მომცემელი სიკვდილს მისცემს.

სიბრძნითაა საესე მცნება, აღმკრძალველი პურის ჰამისა შურიანთან (იგავთ. XXIII, 6), ესე იგი აღმკრძალველი მასთან ყოველივე ერთობისა. როგორც ცეცხლს უნდა მოვერიდოთ შურიანს. შური უფრო ფესვადგმულია ახლობელთა შორის მეზობლებში, ამხანაგებში, ძმებში. ერთი რამ კიდევ სანუგეშო ამ სენისა არის, რომ, რამდენად უფრო შურიანია ადამიანი, იმდენად ეს სენი მისთვისეა უფრო ცუდი. შურიანი სხვას იმდენს ზარალს ვერ მოუტანს, რამდენსაც თავის თავს.

შურიანები იკნობებიან გარეგანი მათი შეხედულობითაც: თვალემა აქვთ ჩაღრმავებული, ლოყები ჩაკვირული, წარბები დაკიდებული, სული შეძრწუნებული და მსქელობა არა კანონიერი. შურიანისათვის არფერია საქები, არც მაგ. ქველმოქმედება, არც სიტყვის სიძლიერე და არც სხვა რამ კარგი. როგორც ყორნები მიეშურებიან მძორისკენ, არ ჩერდებიან მინდვრებზედ და ყვაეილოვან ადგილებზედ, როგორც ბუზები ერიდებიან ყოველივე საღს და ახალს და დამჟალს ეშურებიან, ისე შურიანები არავენთარ სიკეთეზედ არ ზრუნავენ, და თუ ადამიანმა ფეხი წაჰკრა, იგინი საყვირით ამკნობენ ქვეყანას და ყოველივეს თავისებურათ ხსნიან, მხნეს უწოდებენ უგძნობელს, მართლის მოყვარეს მრისხანეს, უხვს გამუფანტველს, ზომიერს ძუნწს და სხ. ვაფათათ ჩენი სიტყვა მხოლოდ ამ ბოროტების გაკიცხვით? ავთამყოფს უნდა წაშალი, რომ განიკურნოს იგი;

ჩვენც შეგვიძლია ან სულ ავცდეთ ამ სენს, ან თუ შთავარდით მასში განვთავისუფლდეთ მისგან. ამისათვის კი, წმ. ვასილი დიდის სიტყვით, არაფერი კაცობრივი დიდ რამედ არ უნდა ჩავთვალოთ, არც სიმდიდრე, არც დიდება როგორც წარმავალი, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ არა წარმავალია ჩენი ქეშმარიტი ბედნიერება, არამედ სასუკუნო ნეტარების მოპოვებაში. მდიდარს უნდა ვაქებდენ არა მისი სიმდიდრისათვის, არც ძლიერს მისი ძალისათვის, არც ბრძენს მისი ნიჭისათვის, ვინაიდგან ესე ყოველი იარაღია კეთილმსახურებისათვის არამედ საქებია ის ადამიანი, რომელიც ქვეყნიურს სიკეთეს ხმარობს წესიერად, არა მარტო თავისი თავის წარმატებისა და კეთილ-დღეობისათვის შეიკრებს სიმდიდრეს და სიკეთეს, არამედ მისთვის რომ სხვებსაც შეეწიოს, ხელი გაუმართოს და საზოგადო საქმეს ემსახუროს.

თუ ვინმეა დაჯილდოვებული კარგი ქუითა და გონებით, ძლიერია სიტყვით, ნუ შეგშურდება, ნუ ისურვებ, რომ ბაგენი მისნი დადუმდნენ, იმიტომ მხოლოდ, რომ მის სიტყვას გასავალი აქვს სხვებში, ეს ხომ შენივე საკუთარი სარგებლობაა, შენთვის მოვლინებული შენავე ძმა, ღეთის სიტყვისა და სიბრძნის მქაღიგებელი. არავინ ახუთავს წყლის სათავეს, არავინ დარჩდილავს ბრწყინვალე მზის სხივებს, არამედ ყველას სურს ისარგებლოს მითი. ამნაირად თუ რომელიმე სხვისაგან რაიმე სისიკეთით განსხვავდება და კარგად და წესიერად ხმარობს მას, მაგ. მდიდარი გაჭირვებულს ეწევა. ჯანმრთელი თავის ხელით შეუძლებელს ემხარება რითაც კი შეუძლიან, ასეთი ადამიანი ღირსია სიყვარულისა და დაფასებისა. ხოლო ის ადამიანი, რომელიც ქვეყნიურის სიკეთით წესიერად ვერ სარგებლობს, ღირსია შებრალებისა, ვინაიდგან იგი ცოდვისკენ მიილტვის. თუ სიმდიდრე მიისწრაფვის უსამართლოებისადმი, საკოდავია ასეთი მდიდარი, ხოლო თუ იგი მიისწრაფვის სიკეთისადმი და კეთილმსახურებისადსი, ასეთი მდიდარი შეშურების ღირსი არ არის, ვინაიდგან მის მიერ

წამომღვარი სარგებლობა საერთოა, საზოგადოა. საერთოდ კი ადამიანი არაფერმა ამ ქვეყნიურმა, როგორც წარმავალმა, არ უნდა გააკვირვოს და ასეთს ადამიანს შურიც ვერ მიეკარება. მაგრამ თუ შინაც ეტრფი დიდებას, გინდა სხვაზე შესამჩნევი გახდე და ვერ ითმენ მეორეობას (რადგანაც ესეც ჩაითვლება შურის გამოძწევვ მიზეზად), მაშინ შენი თავმოყვარეობა წარმართე სათნოებისადმი: არასოდეს არ მოიწადინო ყოველივე სახით და საშვალეებით გამდიდრება, გახსოვდეს რომ სიმდიდრე მუდამ შენი არ იქნება, იყივი მარ. თლის მოყვარე, უბიწო, კეთილგონიერი, მხნე, გამრჯელი, მომთმენი გაქვიერებაში, სიკეთისათვის და სიმართლისათვის თავდადებული და ესე ყოველივე შენთან იქნება და მით შენს თავსაც უშველი და სხვისთვისაც შესამჩნევი გახდები. კეთილის მოქმედ ადამიანს შური ვერ მიეკარება. ყველამ იცის როგორი ბოროტებაა პირფერობა, ფარისევლობა, ესეც შურის ნაყოფია. ორპირობა საერთოდ გამოწვეულია შურიანობისაგან. ადამიანი გამსჭვალული სიმულვილით, სახეს აჩვენებს სათნოიანს და ემსგავსება ზღვის კლდეს, რომელიც მცირე წყლითაა დაფარული და გაფრთხილებელთ მწუხარებასა და უბედურობას მიაყენებს.

და ამნაირად, თუ შურისაგან, როგორც მდინარის სათაისგან მომდინარეობს ჩვენთვის სიკვდილი, სიკეთის დაკარგვა, ღეთისაგან მოძულეობა და საერთოდ ცხოვრების კეთილდღეობის დაკარგვა, ყური ვუგდოთ წმ. მოციქულის პავლეს სიტყვებს: „წუმცა ვართ მზვარობარ, ურთიერთარს მებრალბელ, ურთიერთ არს მოშურნე“ (გალატ. V, 26). არამედ, იმავე მოციქულის სიტყვით, უნდა ვიყენეთ „ურთიერთარს ტკბილ, მოწყალე, მიმმადლებელ თავთა თვისთა, ვითარცა იგი ღმერთმან ქრისტეს მიერ მოგვმადლა ჩვენ“ (ეფეს. I A, 22).

**მდ. სერგი მაქარაშვილი.**

**არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას.**

კურთხეულ იყოს ის წამი, რომელ წამსაც დაიბადე! წყეული იყოს ის სენი და ის წამი, რომელ წამსაც შენს სხეულში გაჩთა შენი ამ ქვეყნად მომსპობი ბაცლილი...

კურთხეულ იყოს შენი სპეტაკი იდეალები, რომელსაც შენი საყვარელი შინაურ და გარეულ მტერთაგან დაჩაგრულ სამშობლოსათვის ხატავდი და ოქროს შძიევათ ასხამდი. შენი მისწრაფება იყო სამშობლო ქვეყნის ბედნიერება და იმავე დროს სხვა ერებისთვისაც იგივე სანატრელი აზრების განხორციელება, რომელიც მაკხოვარმა ბრძანა: „შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისიო“. შენი კალამი ხატავდა: ვისაც თავი არ უყვარს, ვერც სხვას შეიყვარებსო. კურთხეულ იყოს შენი სუსტი, მადლიანი თითების მოძრაობა და ოქროს კალმის წვერი, რომელმაც მცირე ხანში ტომებათ დასათვლელი, საკაცობრივო, ბრწყინვალე და საბედნიერო, სპეტაკი სინიდიისისა და აზრის ნაწარმოები დაგვიტოვა. აქ იპოება წრფელი, ანკარა გრძნობის გადმონახეუქი ნაკადული, რომელიც გვიანდერძებს განათლებული ქვეყნების აზრთა და მისწრაფებათა შეთვისებას, ერის—ერთა შორის ძმობისა, სიყვარულისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის?

შენ მოგვეშორდი სამუდამოთ, მარა დაამშვიდე, ძვირფასო არჩილ, შენი უყვდავი სული, რომ საკმარისია შენი ღვაწლი სამშობლოს წინაშე. შენგან გასკვნილი საძირკველი სპეტაკი იდეალებისა მეტად მკვიდრია და მისი კედლების ამშენებლები მეტისმეტი სისწრაფით მრავლდებიან; აღმაფრთოვანებელ სიამოვნებას განვოტითი მათი კქერით. იხარე ამ იმედით შენც და დატკბი სულით. შენი ხსენება საუკუნოთ იქნება მრავალთა გულში, ხოლო ქართველითა მომავალი ისტორია, საუკეთესო მოღვაწეთა გვერდში დაგიტობს ადგილს და შენს სახელსაც ოქროს ასოებით აღნიშნავს!

კურთხეულ იყოს, ის დედა, რომელმაც გშვა, და აწცა შობს შენებრ სპეტაკი აზრების მატადაგებელს.

**ბ. სავაგბიძელი.**

# არჩილ ჯორჯაძის გადაცვალების გამო.

## უურნალ გაზეთებიდან.

გაზეთ „თემში“ ლაჯანელი ბანოვანი სწერს შემდეგს: მრწამს რომ თავის ქვეყნის წარმატებისთვის მოაზრე ქართველი ქალის გული გრძობს, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა ჰკარგავს ერთ იმ მართლ-მსაჯულ კალმოსან მოღვაწეს, რომელსაც კალმათ ჩვენი სულის გასაღები ეჭირა და მელნათ თვისი გულის უკანასკნელი სისხლის წვეთები. უსურვებ, შენებრ, რჩეულთა დაკარგვით გულ აკვნესებულ ქართველ ქალებს, რომ მათ შეეფასათ შენებრ ღირსეული შეილები ალბრდით ჩვენი ქვეყნის ის დიდი დანაკლისი, რომელიც ამ უკანასკნელმა წლებმა წარსტაცა ჩვენ ბედკრულ სამშობლოს და შენ კი, ძვირფასო ქართველო, მკვდრათ არ ითქმები ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან

„ბედნიერია ის მომავლელი,  
ვინც რომ სამშობლოს უძღვნა წვლილია  
ბედნიერი ხარ შენც, რომ ეს ხვედრი  
შენი ცხედარის დამკვლაველია.

იმავე გაზეთში მოწაფე ს. ბადურაშვილი სწერს: ჯორჯაძის აზრი სამშობლოს სიყვარულით დამწვარი გულის ღრმა განცდა იყო. ჯორჯაძისთან თავგანწირული მუშაეების არსებობა — ერის სიკოცხლის ნიშანია: დღეგრძელობა ერს და ნეტარხსენება არჩილისთანა მოწამებრივი შარავანდედით მოსილს გმირებს...

ვაი ქართველ ახალგაზრდობის მამა-მასწავლებლის დამკარგავს!...

თბილისის ქართული გიმნაზიის მოწაფენი უღრმესის თანავრძობით იზიარებენ მთელი ერის წუხილს და ცხარე კრებლით ალტობენ გონებრივად მასაზრდოებლის — ძვირფასი არჩილის გაკრეფულს ნეშტს...

„სახალხო გაზეთის“ რედაქტორი ა. ქუმბაძე, რომლის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვა-

ნელი იყო განსვენებული. სწერს: ტკბილო მასწავლებელი! შენ, რომელიც მტკიცე იმედის შიკრიკად მოეკლინე მწუხრის ბურუსში გახვეულ ერის სულს და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მკვეთრი სიტყვით ადამიანურ ცხოვრებისკენ მოუხმე უგზო-უკელოდ მოარულს უბირ თანამემამულეთ,

შენ, რომელმაც ღირსეული სამშობლოს უღირს შეილებს ცდომის რიდე თვალთაგან ახადე და საკოდადებულს მათ ბაგეს, ვით მოსიყვარულე დედამ, ენა ამოადგმევენიე,

დღეს, როდესაც შენისავე ძიძობით ვისწავლეთ ეს ენა, რომლითაც უნდა ღიაპარაკოდეს ქართველი ქეშმარიტი მოქალაქე და მამულიშვილი,

შემინდე, თუ უკანასკნელ დროს, გამოთხოვების საშინელ ეამს, გითხრა მხოლოდ: მშვიდობით!

ნეტარი მომავლის გარიყრეის დროს გეცილდები, მეგობარო!

ჯერ კიდევ შორსაა ის ნანატრი, სიმატლითა და ქეშმარიტებით გასხივოსნებული დღე, რომელსაც შეუფერხებელი მძლეობით ესწრაფოდა ღვთისნიერი სული შენი...

შორს არის... მაგრამ, ვანა ჩაპქრება სამშობლოს გაპარტახებულ სამსხვერპლოზე ანთებული წმინდა კანდელი, რომელსაც უშრეტ წყაროდ დაუდე შენი ტკბილი სული და ნაზი სხეული!?

არა! არაოდეს!

ის გაგვინათებს, ძვირფასო წინამძღვარო, ცხოვრების ეკალ-ნარში მიძაეალ, მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს, ვით ოდესმე უდაბნოში მოარულს რჩეულ ერს ცეცხლის უქრობელი სვეტი.

ის გაგვინათებს...

მაგრამ, ვაი, რომ შენი საყვარელი თანამოაზრენი ველარ მოისმენენ უერთგულესი მედროშის მხნე ძახილს ძალათა მოსაკრებად და რაზმთა დასამწყრიველად.

იგინი თვალკომლიანი დაძულებენ დღეს

შენს გაცვივებულ გვამს და უკანასკნელად გეუბნებიან. უკანასკნელ სალამს: მშვიდობით!

იმავე გაზეთში ი. გედევანიშვილი სწერს: სღუმს მხედარი და არ ისმის ნალარა, როდესაც დიდებულ სარდალს მიწას აბარებენ.

მშვიდობით ძმაო, მშვიდობით მეგობარო, მშვიდობით ამხანაგო!

სამშობლო მიწა შენით აფხვიერებული ლბილ თივთიკად გადაგვეკვეთა, ალერსით მოეხვევა თავის პირშო შვილს და მის მკერდზე ამბინებული გაზაფხულის ნორჩი მწვანე ნაზის ჰანგით დაჰმღერს და უჩურჩულებს: „შენი ნათესიკ მალე ამბინდება, გაიფურჩქნება, აჰყავდება“.

მშვიდობით არჩილ!

### სამკომის დავაშავი და წარიღები.

**დებეშა შრომის ჯგუფისა.** სახ. სათათბიროს შრომის ჯგუფის ფრაქციისაგან არჩ. ჯორჯაძის ამხანაგთ გუშინ მოუვიდა შემდეგი დებეშა:

„სათათბიროს შრომის ჯგუფმა ფეხზე ადგომით პატივი სცა უდროთ გარდაცვალებულის გამოჩენილის ქართველ პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას, — ჯორჯაძისას, რომელიც იყო ერთი დამაარსებელთაგანი და ნიჭიერი წარმომადგენელთაგანი ქართველთა დემოკრატიულ ჯგუფისა. ფრაქცია უგზავნის განსვენებულის ამხანაგთ თავის გულწრფელ თანაგრძნობას და სთხოვს შეამკოს იმისი კუბო გვირგვინით. ფრაქციის თავმჯდომარის მაგიერ ა. კერენსკი.

**ზაატკვანასკია.** იშვიათი მოღვაწის — არჩილის — გარდაცვალების ამბავი მტკივნეულად მოხვდა ჩემ სულს. სამშობლოს გულწრფელი, ღრმა სიყვარული ჰეშმარითად მძიმე ხვედრია. ეპისკოპოსი დავითი.

**ჰეტკანბურგა.** ღრმად დამამწუხრა ძვირფასი არჩილის გარდაცვალებამ. მოშორდა წუთისოდულის დაუღალავი მებრძოლი ცხოვრების

უსამართლობისა, წმინდა, შალაღი სულისა, დაუცხრომელი, მუდამ ძიებაში მყოფი ბუნებისა და რაინდული ხასიათის ადამიანი. არა თუ მხოლოდ ჩვენში, არამედ ყველგან, ძვირია ასეთი ნაწრთობი ზნეობის პირები, ამიტომაც ივინი ხალხის ნუგეშსა და შევენებას წარმოადგენენ.

გიორგი ზდანოვიჩი.

**ბერდინა.** გზაში გავიგე შეუდარებელ არჩილის გარდაცვალების ამბავი; სიცოცხლე, აღსავსე შევენებითა და ტანჯვით, გაჰფრინდა მარადისობის წიაღში. უდაბნოსებურმა სიცილიერემ მოიცვა ჩემი სული.

გრიგოლ რობაქიძე.

ჩვენ, მეტეხის ციხის პატიმარი, განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა, გულწრფელად ვგლოვობთ ქართველი ერის ერთი საუკეთესო კირისუფალთაგანის, არჩილ ჯორჯაძის უდროოდ გარდაცვალებასა და ჩვენს უზომო მწუხარებას ვუერთებთ ქართველი ხალხის გლოვას. მარად ხსენება იმ კაცს, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მშობელი ერის გათვითცნობიერების და წინსვლადობის საქმეს შესწირა.

მეტეხის ციხის პატიმარი.

**სადქელა.** გლოვობს და სტირის სადმეღლის საზოგადოება საქართველოს მოჭირანხულე შვილის არჩილის დაკარგვას.

მამასახლისი ძალნიძე.

**ბელაგორი.** ხარაგაულის საზოგადოება მწარე კრემლით სტირის არჩილის დაკარგვას.

**კიევი.** ვტირით ფილოსოფოს-პუბლიცისტის დაუფასებელ არჩილ ჯორჯაძის სიკვდილს. მარად ხსოვნა შენ, მოკიქელო ქართველ ერის თვითშეგნების სახსნელ ვზის გამკვლეველო. კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტები.

**გორი.** საქართველოსთან ერთად, ჩვენც, გორის ქართველი ქალები, ვგლოვობთ ერის სპეტაკ უანგარო მოღვაწის დაკარგვას.

**ადეხა.** გადაეცით ქართველ ერს ჩვენი ღრმა მწუხარება ძვირფას მასწავლებლისა, საუკეთესო პუბლიცისტის და სოციოლოგის დაკარგვას.

რგვის გამო. ჩვენ, თანამოაზრე სტუდენტები, განსვენებულ არჩილის ხსოვნის წინაშე ვფიცავთ, რომ მისი აღმოთქმანი მარად იქნება ჩვენის ცხოვრების გზის მაჩვენებელი. დაე, მისმა სიკვდილმა შეაერთოს დაქსაქსულნი რაზმნი და გვასწავლოს: როგორ ვიცხოვროთ ვის ვემსახუროთ. დაე, სამარადისო გაჰხდეს დიდებულ-მოწამის სახელი.

თანამოაზრე სტუდენტები.

**პეტერბურგი.** თავზარდაცემული საქართველოს ერთი საუკეთესო და უუკეთილშობილესი შეილთაგანის სიკვდილით, ვინც მამულის კეთილი მომავლისთვის თვისი თავგანწირული ბრძოლით სამშობლო მხარეში მარადი მოგონება დასტოვა, ძმურ თანაგრძნობას ვუგზანი შეგობრებს ამ აუნახლადურებელ დანაკლისის გამო. იყოს რწმენა, რომ დიდებული არა კდება და ძვირფასი არჩილის სული მარად იქნება მის საქმეთა და ყველას ხსოვნაში. გადახდირი იქმნება პანაშვიდი კვირას.

სახ. სათ. წევ. გელოვანი.

**პეტერბურგი.** გიცხადებთ ჩვენს უგულითადეს თანაგრძნობას გამოჩენილ პუბლიცისტიკსა და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის უდროვოდ გარდაცვალების გამო.

აკაკი ჩხენკელი, კარლო ჩხვიძე.

**ბერლინი.** თქვენთან ერთად ცხარე კრემლით დაესტირი ძვირფასი მასწავლებლის კუბოს.

გერმანი კიქოძე.

**ჭეაძეაბურგა** (გერმანია). გულდამწვარი ვკლოვობ ძვირფას შეგობრის, არჩილ ჯორჯაძის დაკარგვას.

მიხაკო წერეთელი.

**აფანცაგა** (გერმანია). დამწუხრებულნი და დობლდებულნი ვგოდებთ. დაგარგეთ ერის გუშაგი. ერო, სტიროდე შენს მოამაგეს. ვინ და შეგობრებს მწუხარეს აწ წყლულს? ერო, სტიროდე შენს ჰირისუფალს, შენთვის წამებულს, შენთვის დაკარგულს.

შანშიაშვილი, აბაშისბირელი, ხუნდაძე, თოფურიძე, ჯაფარიძე, რუხაძე, დათუშიძე, მგალითაძე, მარჯვალაშვილი.

**ჭეკურბურგა.** სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ქართველი სტუდენტები, შეწუხებულნი იმ ადამიანის დაკარგვით, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს სამსახურს შესწირა, იზიარებენ ქართველ ერის დიად მწუხარებას.

ნიკოლოზ ყიფშიძე.

**ხარკოვა.** გულწრფელად ვიზიარებთ ქართველი საზოგადოების აზრის მწუხარებას, რომელმაც დაჰკარგა თვისი მიხაილოვსკია-არჩილ ჯორჯაძე, მასწავლებელი-მებრძოლი ეროვნულ და სოციალურ აღორძინებისათვის, ვინც მრავალ წლის განმავლობაში პატიოსნურ დარაჯად იდგა მშვემეირს საყარაულოზე.

ვანო ლორთქიფანიძე, ჩერქეზიშვილი, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ნინო პოლადე, გოგია ლასხიშვილი, ვალერიან ახვლედიანი, ნემსაძე, სიხარულიძე, ყანჩაველი, მოსიძე, მარო მამულია, ბარათაშვილი, ავადიშვილი.

**ქუთაისა.** როგორ შეეჩვია ყური მის ყველ ახალ სიტყვის, ახალი აზრის მოსმენას! როგორ შეეთვისა, დაუნათესავდა ჩვენი სული იმის სულს! აღარა გვყავს. ვინ შეავესებს ჩვენი ლიტერატურის დიდ სიკარიელეს? ვინ გაჰკურნავს ჩვენი გულის ღრმა ჭრილობას?

**ბაქა.** ღრმად თანაურგძნობთ ძვირფას სამშობლოს, რომელმაც საუკეთესო შვილი დაჰკარგა.

ელიაშვილი.

### არჩილ ჯორჯაძის დაკრძალვ

#### სადგურზე.

24 მარტს, საღამოს 5 საათზე, ტფილისის რკინის გზის სადგური, სადგურის წინა მოედანი და ქუჩები უკვე გაქედილი იყო ხალხით. ელოდებოდა ცხედრის მოსვენებას. ყველას თვალი დასავლეთისკენ იყო მიპყრობილი; მიუხედავად იმისა, რომ ხალხი პლატფორმაზე ძლიერ ეტეოდა, წესიერება ერთს წუთსაც არ დარღვეულია, რადგან ყველას გულს იღუპალი მწუხარება გადაჰქარებოდა. სრულს ექვს საათზე მატარებელი გამოხდა; ხალხი შეინძრა; ყველამ ქუდი მოიხადა. მწვანითა და ყვავილუ-



ბით შემკული ვაგონი სწორეთ იმ ადგილზე გაჩერდა, სადაც გარდაცვალებულის მეგობრებსა და ამხანაგებს მოეყარათ თავი. ვაგონის ორივე კარი ღია იყო; შუაგულს ესვენა ლითონის კუბო ძვირფასი ცხედარით. კუბო ყვავილებით იყო მთლად დაფარული; გარს ქუთათური და ბათუმელი მეგობრები, ამხანაგები და აგრეთვე მოწაფენი უდგნენ. გადმოიტანეს აუარებელი გვირგვინი და შემდეგ ვაგონში მყოფმა მეგობრებმა პლატფორმაზე მდგომ ამხანაგებს გადმოსცეს კუბო ძვირფასი ცხედრით, რომელიც სადგურის წინ დაასვენეს და მოკლე პანაშვიდი გადაუხადეს.

**სამგლოვიანო პროცესია.**

სამგლოვიანო პროცესია გაემართა ბლის ქუჩით. წინ მიდიოდნენ მოსწავლენი, რომელთაც გვირგვინები მიჰქონდათ, შემდეგ ქულაჯებში გამოწყობილი კავსადის მგალობელთა გუნდი, ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოებისა და ტფ. ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა ხორბები; ამათ შემდეგ მიდიოდა სამღვდლოება. კუბო ქვაშვეთის ეკლესიაში ხელით მიასვენეს. მიხეილის პროსპექტი, მდათაოვის კუნძული, ბარიათინსკისა და ლორის-მელიქოვის ქუჩები, საითაც გაემართა სამგლოვიანო პროცესია, ხალხით იყო სავსე. ქვაშვეთის ეკლესიაში აუარებელი ხალხი დახვდა, გალავანი ხალხით იყო გაჭედილი, პროცესია ქვაშვეთის ეკლესიაში მხოლოდ 8 ნახევარ საათზე მივიდა. ცხედარი ეკლესიაში დაასვენეს და გვირგვინებითა და ყვავილებით დაჭაფარეს. აქ გადახდილ იქნა პანაშვიდი, რის შემდეგაც სიონის ტაძრის დეკანოზმა ასათიანმა მგრძობიარე სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდის შემდეგ ხალხი არ იშლებოდა. ყველასა მსურდა უკანასკნელად დაენახა ძვირფასი განსვენებული სახე და გამომშვიდობებოდა მას, ამიტომ ხალხის თხოვნით კუბოს თავის ნაწილი გადახადეს. ეკლესია მხოლოდ 11 საათზე დაიხურა.

25 მარტს ქვაშვეთის ეკლესია და გალავანი უკვე დიდის 9 საათიდან ხალხით გიჟსო. წესიერების დამკვიდრ ბიუროს განკარგუ-

ლებით, ეკლესიაში შესასვლელ კიბეებზე მოწაფენი ჩამწყრიდნენ და ხალხს რიგ-რიგად უშვებდნენ.

გორის ეპისკოპოზმა ანტონიმ, ქართველი სამღვდლოების თანამწირველობით სწირა და ანდერძი აუგო. ეკლესიაში ორი გუნდი ჰგალობდა. 12 ნახევარ საათზე ამხანაგებმა და „სახალხო გაზეთის“ თანამშრომლებმა ცხედარი გამოასვენეს და ბალდახინზე დაასვენეს. სამგლოვიანო პროცესია ლორის-მელიქოვის ქუჩით გაემართა. წინ მიჰქონდათ ცოცხალი ყვავილების დიდი ჯვარი არჩილის სურათით. ქართველი ქალები გზას ყვავილებითა და თაიგულებით ჰფენდნენ, შემდეგ მიდიოდნენ: ხარფუხის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გუნდი, კავსადის გუნდი, ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი და ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა გუნდი. ბალდახინს გარს ეხვივნენ განსვენებულის ამხანაგები და „სახალხო გაზეთის“ თანამშრომელნი. ხელი-ხელ ჩაკიდებული მოწაფეები და ახალგაზდობა ორ რიგად იყვნენ ჩამწყრივებული ქუჩის ნაპირებზე და აუარებელ ხალხს აკავებდნენ. პროცესია სახალხის ქუჩაზე ამოვიდა; აქ- „სახალხო გაზეთის“ რედაქციის წინ მკირე პანაშვიდი გადაიხადეს და შემდეგ სამგლოვიანო პროცესია გოლოვინის პროსპექტით გაემართა, რომელიც, როგორც სხვა ქუჩები, ხალხით იყო სავსე. ხალხით იყო სავსე აგრეთვე ყველა სახლის აივნები და ზოგან კი სახლის სახურავებიც. სამგლოვიანო პროცესიამ გაიარა ოლღას ქუჩა, ვერის დაღმართი, კიროზნი ქუჩა, მიხეილის პროსპექტი, მუშტაიდის ქუჩა და დიდუბის ტაძრის გალავანს მხოლოდ საღამოს 4 ნახევარ საათზე მიალწია დიდუბეში.

დიდუბის ტაძრის ვეებერთელა გალავანიც უკვე სავსე იყო ხალხით და ამიტომ ახლად მოსულთა შიგ შესვლა შეუძლებელი გახდა. წესრიგის დამკვიდრმა ბიურომ, როგორც იქნა, დაიყოლია მოზღვავებული ხალხი, რათა მას გზა მიეცა ცხედრისთვის, დიდის ვაჭირებით შესვენეს გალავანში, საფლავი გაეთხარათ

პროფ. ხახანაშვილის გვერდით. აქ დაასვენეს კუბო და „საუკუნო ხსენება“ უგალობეს.

**უკანასკნელი გამოცდლება.** „სახალხო გაზეთი“-ს რედაქტორმა ა. ჭუმბაძემ მიმართა ხალხს მცირე სიტყვით: „ბატონებო, განსვენებულის ამხანაგებისა და ჭირისუფლებისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავი სიტყვები არ იქნება. ამიტომ გთხოვთ მუხლმოდრეკითა და ღრმა დუმილით სცეთ პატივი განსვენებულის ძვირფას ცხედარს“.

ყველამ მუხლი მოიდრეკა, სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ სევდით აღსავსე „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“, რომელსაც ოთხი ხორც ერთად ვალობდა და გულის სიღრმიდან ამოხეთქილი განსვენებრლის მეგობრებისა და მოწაფეების ჭვითინი. ძვირფასი ცხედარი მიაბარეს ცივ სამარეს და საფლავი ცოცხალი ყვავილებითა და გვირგვინებით დაჰბურეს. მალე ცოცხალ ყვავილებისა და გვირგვინების გორაკმა გულდათუთქულ ამხანაგებსა და ხალხს ამცნო, რომ არჩილი საუკუნოდ მოშორდა ძვირფას სამშობლოს- ხალხი მაინც არ იშლებოდა და კიდევ დიდხანს იღვა გვირგვინებით შემკულ საფლავთან.

(„სახ. გაზ.“).

# ს ა უ ბ რ ე ბ ი

მეხუთე საღამო.

**მღვდელი:** ეგ კარგია, რომ თქვენ ყურადღებას აქცევთ მაგ საბუთს. მართლაც არიან იმისთანა კაცები, რომელნიც იმდენად დაემორჩილნენ თავის ხორცს, პირუტყულს მხარეს, რომ არც კი შეუძლიანთ იფიქრონ სულის ბატონობის შესახებ ხორცზე. მაგრამ ჩვენთვის სრულიად მნიშვნელობა არ აქვს იმას, რას ამტკიცებენ, ან როგორ უკვირდებიან თავის თავს ასეთი კაცები; იმიტომ რომ მათი საბუთები და-

უმტკიცებლებია და დაკვირვებანი არ შეიძლე-  
ბა ჩვენთვის საზომად გავიხადოთ თუ ჩვენ გვინ-  
და გავიგოთ კაცის ბუნება მისი ჭეშმარიტის-  
არსებით, ჩვენ იმათ არ უნდა ვკითხოთ, რომ-  
ლებიც ისეთს ცხოვრებას არიან ჩვეულებრივნი,  
რომ ვით კაცი მხოლოდ პირუტყვი იყოს; არა,  
ჩვენ ეს ცნობები უნდა ვეძიოთ იმ კაცებთან  
რომლებიც ატარებენ კაცის ღირსს ცხოვრე-  
ბას. და აქ თვითეული იტყვის: დიახ, მართა-  
ლია, კაცს შეუძლიან გახდეს თავის სხეულის  
ბატონად, თუ მოისურვა. დღეს კვირაა; თქვენ  
ორივენი დღეს დილით დაღლილები იყავით,  
რადგანაც მთელი კვირა შრომით გაატარეთ.  
თქვენ იქნება დიდი ხანიც გინდოდათ მოსვენ-  
ებით ყოფილიყავით; მაგრამ რადგანაც დღეს  
კვირაა, თქვენ, როგორც ჭრისტენებს მოგა-  
გონდათ თქვენი სარწმუნოებრივი ვალდებუ-  
ლება, ამიტომ ადრე ადექით ლოგინიდან და  
საყდარში წახვედით. ვინ იყო ბატონი, თქვენ-  
ნი ხორცი, თუ სული? პასუხი ძნელი არ იქნე-  
ბა. ასი და ათასი სხვა მაგალითი გვიჩვენებს,  
რომ სულს შეუძლიან ბატონობა ხორცზე, თუ  
მოისურვა. საჭიროა მხოლოდ, მოისურვო და  
სერიოზულად მოისურვო.

ახლა, რაც შეეხება დაკვირვებას საკუთარ-  
ის სხეულისას, რომელიც მოუხდენია დოქ-  
ტორ რ-ს მე თანახმა ვარ, რომ მისი სული  
მართლაც დამოკიდებულია მატერიაზე. რო-  
გორ შეიძლება განა სხვანაირად იყოს იმ კა-  
ცისთვის, რომელსაც ჰგონია, რომ ის მხო-  
ლოდ პირუტყია? რა შეიკავებს მას, რომ არ  
დააკმაყოფილოს ის მოთხოვნილება, რომელსაც  
თხოულობს მისი პირუტყვეული ბუნება? რა  
დასვენასაც გამოიტანს ასეთი პირუტყვეული კა-  
ცი დაკვირვებიდან სულისა და ხორცის დამო-  
კიდებულებაზე ერთმანეთთან, ის არ შეიძლება  
იყოს ჩვენთვის ჭეშმარიტების საზომად. შევხე-  
დით დიდ სულიერ კაცთა მოძღვრებას და  
ცხოვრებას და მათ ვთხოვოთ დარიგება. ესენი  
არამც თუ გვასწავლიან, რომ სულს შეუძლიან,  
და უნდა ბატონობდეს კიდევ ხორცზე, არა-  
მედ თითონაც არიან ცოცხალნი საბუთნი ამ  
ჭეშმარიტებისა. გავიხსენოთ ჩვენი წმინდანები.

რომლებმაც დიდი ხნის მოღვაწეობით და ბრძოლით ხორცი ისე დაუმორჩილეს სულს, რომ ბოროტნი გულის თქმანი ვეღარ აუნებდნენ ხოლმე შათ. თუ ეს შესაძლებელი იყო წმიდათათვის, შესაძლებელია ყველასთვისაც. ღიახ. კაცი იქამდეა ბატონი თავის თავისა, რომ შეუძლიან თავის სიციცხლესაც კი შეეხოს. რაც, როგორც ვიცით. ვერა ვხედავთ პირუტყვებში.

**პეტრე:** აქედან კიდევ ცხადად სჩანს, რომ კაცი პირუტყვეზე მაღლა სდგას. ის პირუტყვეზე მეტია: ის მეფეა ქმნილებისა, ის უფალია თავისის თავისა. ჩვენ მაღლობელნი ვართ ამ დარიგებისთვის, რომელმაც უნდა აგვავესოს ახალი და მაღალ პატივისცემის გრძნობებით კაცის ღირსებისადმი და აღგვძრას ახალი ბრძოლისთვის ხორცის წინააღმდეგ.

**მღვდელი:** ის სულ უმდაბლესი მონაა, რომელიც ნებას აძლევს, თავის თავზე აბატონებს სხეულს და ქვენა გრძნობებს. კეშმარიტად თავისუფალია მხოლოდ ის ქრისტიანე, რომელიც სარწმუნოების მოთხოვნით სხეულს უმორჩილებს სულის ბატონობას და სულს ღვთის უფლებას.

**თომა:** ჩაუფიქრდები რა იმას, რაც შეგხლა მოვისმენე, აღარ ვერწმუნები იმას, რასაც დოქტორი რ. ამბობს შესახებ სულისა და ხორცის დამოკიდებულებისა ერთმანეთთან; ეს მხოლოდ მისი პირადი შეხედულობაა, რომელსაც არ აქვს მნიშვნელობა, თუ იმაზე უფრო გონიერები წინააღმდეგს ამტკიცებენ და საზოგადო დაკვირვება სულ სხვას გვეუბნება. მე იმედი მაქვს, რომ მომავალი საუბრები შეასწორებენ ჩემს შეხედულობას სხვა საკითხებშიც; რადგანაც მე გულწრფელად მსურს კეშმარიტება ვაეიგო.

**მეამხნე საღამო.**

მართალია, რომ სიკვდილით ყოველივე თავდება?

**თომა.** დღეს მიინდა მამაო, კიდევ მოვახსენოთ, როგორ მიდის ცხოვრება ჩვენს ფაბრიკაში. თქვენ არ დაიჯერებთ, რას ლაპარაკობენ აქ. თუ კაცს სარწმუნოება აქვს და სურს იცხოვროს თანახმად თვისის რწმენისა, მისთვის ძნელი ასატანია ეს უღეოება ამხანაგებისა. მას სისხლი უარდება თავში. ხოლო თუ, მან თავი შეურაცყოფილად აჩვენა, მაშინ, მას სასტიკად ჰკიცხავენ და ყველანი გველებივით მიესვენებენ.

**მღვდელი:** როგორ მეცოდება შეგ ყველა ის, რომელიც იძულებულია ასეთ სამწუხარო პირობებში იშოვოს არსობის პური. ნუ თუ შეუძლებელია, რომ ყველა კეთილად მოაზრენი შეერთდნენ ერთად და საზოგადო ძალით წინააღმდეგობა გაუწიონ ამ მოსევას?

**პეტრე:** მეც ფიქრობ. ფაბრიკაში ყველა ხომ ეგრეთეს სატანისებურ გუნებზე არ არიან?

**თომა:** ეგ მართალია; მაგრამ ისინი, ვისაც სარწმუნოება შერჩენია, ვერ ჰხედავენ წინააღმდეგობა გაუწიონ უღმერთოთა ბრბოს. მათ ეშინიათ დაცინვისა და მოძულებისა, და ხშირად ვერა უპასუხნიათ რა, როცა ისინი უღვთობას ლაპარაკობენ ხოლმე. ამას წინად ლაპარაკი ჩამოვარდა სულის სიციცხლის გაგრძელებაზე სიკვდილის შემდეგ. მაშინ მოისმა ერთბაშად, თითქო ერთი პირიღგან: მკვდარი მკვდარია! როცა კაცი მოკვდა და მიწაში დაფლეს, ყველაფერი გათავებულია“!

**მღვდელი:** ასე ლაპარაკობენ ყველა ისინი, რომლებიც აქ მხეცურად სცხოვრობენ, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, ვინა ხართ. დღეს ჩვენ იმაზე ვილაპარაკოთ, **თავდება თუ არა ყოველივე სიკვდილით?**

**პეტრე:** ეს ძალიან თანამედროვე საკითხია და მაგისი გადაწყვეტა მოითხოვეს ჩვენს სრულს ყურადღებას.

**მღვდელი:** ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს დროში საჭიროდ ხდება დამტკიცება ისეთ კეშმარიტებათა, რომლებიც თავისთავად ცხადნი არიან და რომლებიც უნდა ახარებდნენ ყველას, თუ სრულიად ჩაფლულნი არ არიან ქაობში. მართლაც და, განა სასიხარულო არ არის კაცისთვის, როცა მას ესმის, რომ სიკვდილით არ თავდება კაცის სიციცხლე, არამედ მხოლოდ იწყება წესიერი, ნამდვილი, კეშმარიტი ცხოვრება კაცისა! რატომ არ ახა-

რებთ ასეთი ქვეშარიტება? რად უარყოფენ ამას და ამბობენ, რომ შვედარი მკვდარიყო? მიტომ, რომ სცხოვრობენ ისე რომ მათთვის საშიშია გაგრძელება სიკვდილის სიკვდილის შემდეგ. სურთ, რომ სიკვდილის შემდეგ აღარ იყოს რა. ხოლო რაც სურთ, ის სწამთ კიდევ. **სიკვდილით არა თავდება ყველაფერი;** ამას ამტკიცებს 1) ბუნება, 2) გონება 3) ისტორია. მე ვამბობ:

1) ბუნება კაცის ამტკიცებს, რომ სიკვდილით ყოველივე არ თავდება. ბუნება ანუ არსება კაცისა შესდგება სულისა და ხორცისაგან. ორივე ნაწილი შეადგენს კაცის ბუნებას ანუ არსებას, ასე რომ კაცის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა შეერთებულია ეს ორივე ნაწილი. ორივენი, მაშასადამე, ეკუთნიან ერთმანეთს, მაგრამ ორივენი განირჩევიან ერთმანეთისაგან. მაშინ, როცა სხეული შესდგება ნაწილებისაგან, სული არის არსება მარტივი, განუყოფელი, სულიერი. სხეულში ჩვენ ვარჩევთ თავს, ტანს და წევრებს, ანუ ჩვენ შეგვიძლიან სხეული გაეყოთ ნაწილებად. განა სულის შესახებ ეს შესაძლებელია? შეიძლება განა მისი გაყოფა ნაწილებად? პასუხი: არაოდეს; ის არ შეიძლება გაიყოს ნაწილებად, მაგრამ ის უნდა აუცილებლად დარჩეს ისე, როგორც არის საუკუნოდ.

სხეული კაცისა არის. არსება ნივთიერი, როგორც სხვა ქმნილებანი ქვეყანაზე. სული კი არის სულიერი არსება, რადგანაც მას შეუძლიან სულიერი მოქმედება. მას შეუძლიან იფიქროს და ისურვოს. ესცნა შეუძლიან სიტყვას: „მე“, მას შეუძლიან იფიქროს თავის თავზე; აქედან სჩანს, რომ კაცს აქვს სულიერი ნიჭი ცნობისა და ამიტომ ის არის სულიერი არსება. მაგრამ, როგორც შეუძლებელია გაყოფა „მე“-სი, ისე შეუძლებელია გაყოფა გონებისა და სულისა. სული, მაშასადამე, უნდა დარჩეს ისე, როგორც არის; ის უკვდავია.

შემდეგ, სულსა აქვს **შეგნება** ანუ გრძობა უკვდავებისა, ე. ი. მას არ შეუძლიან

შეურიგდეს იმ აზრს, რომ სიკვდილით კაცისთვის ყველაფერი თავდება. ის მუდამ ფიქრობს მომავალსთვის და ლაღადებს: „სად, ვისთან წავალ მე, რა მომივა ქვეყნიურ ცხოვრების შემდეგ“? ამ აზრისაგან სულის არსების გაგრძელების შესახებ ვერ განთავისუფლებულან თვით ურწმუნონი, — ისე ღრმად და აღუხოცელად არის ის ჩანერგული კაცის გონებაში. როცა ერთხელ ერთმა უღვთო მეგობართაგანმა უთხრა ვოლტერს, ამ ცნობილს უარყოფელს ლეთისას, რომ მან უკვე მოისპოა შიში საუკუნოს წინაშე, ვოლტერმა უპასუხა: „ამ შემთხვევაში შენ ჩემზე ბედნიერი ყოფილხარ; მე ვერ ვერ მომიხერხებია ეს“.

**პეტრე:** მე მგონია, რომ ურწმუნონი გულში ყოველთვის ისეთები არიან, როგორცაა აჩვენებენ თავს სხვებს.

**მღვდელი** აზრი უკვდავების შესახებ თანდაყოლილია ჩვენთვის. თუ ასე არ იყოს საიდან გაჩნდა ის, როცა ჩვენს გარშემო ქვეყანაზე კაცი მარტო მოკვდავს და წარმავალს ხედავს? რატომ ამბობს ერთი მოსარჩლეთაგანი ქრისტიანობას ქვეშარიტებისა: „სულმა შესძლო ეტარებინა თავისში აზრი უკვდავის ცხოვრებისა, მიტომ რომ იგი არის გონიერი, უკვდავი არსება“

დასასრულ სულსა აქვს მოთხოვნილება, წყურვილი მუდმივის ნეტარებისა, მიტომ რომ ყველას უნდა ბედნიერი იყოს, იმასაც კი, რომელიც თავის სიკაცხლეს ხელს სდებს მხოლოდ იმითი გაირჩევიან ერთმანეთისგან ცალკე კაცნი, რომ ერთი ეძებს ბედნიერებას საჩქაოს ცხოვრებით დატკობაში, თვის ცუდ მიდრეკილებათა დაკმაყოფილებაში, სხვას კი სწადიან ბედნიერება ხევა ქვეყანაში. მაშასადამე, ბედნიერად ყოფნა უნდათ სულყველას და არა მარტო რომელიმე მოკლე ხნით, არამედ სამუდამოდ; რა ბედნიერება იქნებოდა ის ბედნიერება, რომლის შესახებაც ყოველთვის უნდა შიშობდე, რომ მალე დამეკარგებაო? საიდან არის ეს მისწრაფება მუდმივ ბედნიერებისადმი, თუ თვით ღმერთმა არ მოგვანიჭა იგი? მაგრამ თუ ღმერთმა შთანერვა ეს მოთხოვნილება კა-

მელმაც უნდა შეიმუშაოს პროგრამა, თუ როგორ იღვწასწაულონ უწ. სინოდის 200 წ. არსებობა.

უწ. სინოდის წვერი ომის ეპისკოპოზი ვლადიმერი, რომელიც მოწინააღმდეგე იყო ვოსტორგოვის და რომელიც თავის ეპარქიაში არ უშვებდა მღვდლათ ვოსტორგოვის კურსებზე სწავლადამთავრებულთ, გადაყავთ ვიტებსკში.

უწ. სინოდმა დაამტკიცა განაჩენი, რომლის ძალითაც მღვდელმონაზონს ბელოვეეის უღაბნოისის ევტიხის აძლევენ სისხლის სამართალში, რადგან მან შეურაცხყო მათი უდიდებულესობა და ეწეოდა რევოლიუციონურ ქადაგებას.

როგორც ამბობენ სინოდი შუამდგომლობს მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომ მან იმ 10 მილიონიანი ფონდიდამ გამოიღოს 108 ათასი მანეთი ვოსტორგოვის კურსების სასარგებლოდ, რომელზედაც სათათბიროდ უარი უთხრა. თუ იქიდანაც უარი მიიღეს, მაშინ სინოდი საკუთარი წყაროდან გამოიღებს საჭირო თანხას.

როგორც შევითვალთ მისი მეუფება ყოვლად სამღვდლო ლეონიდი ვნების კვირიაკის ზუგდიდში გაატარებს. იქვე შესარულებს ფერხობანის ღვთისმშობლის და ბრწყინვალე დღესასწაულისთვის დაბრუნდება ფოთში. შარშან ვნების კვირა მისმა მეუფებამ ოზურგეთში გაატარა.

**წერილი ს. მეჩხეთურიდამ.**

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ სტრიქონებს ადვილი დაუთმოთ პატივ სემულ თქვენ გაზეთში. თუმცა სჯული ჩვენი გვიკრძალავს სიხარბეს მა-

გრამ მე მაინც ერთი რამ ყთველთვის მეხარებოდა: თქვენ გაზეთშიაპ და სხვაშიდას ხშირად მხედებოდა ადმოკითხვა, რომ ამას ამ შკოლას ამა თუ იმ პირმა შემოსწირა ამდენი და ამდენი ფული ან წიგნები და ან გამოუწერა ეურნალ გაზეთებო და სხვა. სჩანს რომ თითქმის ყველა შკოლას ყავს გულშემატკივარი პირნი, რომელთა თანაგრძნობა და შემწეობა, უტყველია, ახალისებს და აქებებს სამოქმედოთ შკოლის მუშაკებს. წარმოიდგინეთ ეხლა ჩემი მდგომარეობა: შკოლა არსებობას პატარა სოფელ მეჩხეთურში (57 კომლია) რომელიც მოწყვეტილია სხვა სოფლებს და დაბა-ქალაქებზე. თითქმის სულ ტყეშია გაშენებული, 57 კომლ მოსახლეში ორი სამი კაცი თუ მოიძვანება წერა-კითხვის მსოდნე. თუ კი სხვაგან უფრო დიდსა და შეგნებულ სოფელში საქმელთ ხდება ხოლმე-ხალხის შეგონება შკოლის აუცილებლობასა და სარგებლობაში, მით უმეტეს მტრული თვლით შეხედავდა ეს სოფელი ჩემ წინადადებასა და თხოვნას ავშენებიათ საკუთარი შენობა შკოლისათვის. დიდი უთანხმოება და უსიამოვნება მომიხდა კიდევ ხალსთან ამ საგნის თაობაზე. ბევრნაირად ვეძუდარე ხალსს, ბევრნაირათ აუხსენი სწავლის სარგებლობა თუ ეკლესიაში, თუ მის გარეთ, სახარებოდანაპ კი მოუყვანე მაგალითი, თუ ქრისტე როგორი ყურადღებით ეპყრობოდა ბავშვებს და ვინა ბავშვს არ გაავებებებს ავსა და კარგს და არ ასწავლის სჯულს, ის ქრისტეს სოწინააღმდეგეა და სხვა. არ იქმნა, ვერ მოვაგვარე შენობის საქმე. რავარს იქნა ვაიძულე ხალხი ეყიდათ სახლი და დაედგათ საეკლესიო ადგილზე. მარა ხელი არ მოუთავეს და არ გააკეთეს. ხალხის ჯიუტობამ და გაუგებრობამ თითქმის დამძლია, ხელი ამაღებინა შკოლის საქმეზე, მაგრამ აქ მომეშველა კითხურის პოლიციის ბოქაული ბ. ნ. გაბუნია, რისთვისაპ დიდ მადლობას ვწირავ მას. და მისი ბრძანებით და შეგონებით, რავარს იქნა, გაიმართა ორთვალისანი სახლი სადაც ახლა სწავლობს 35 ბავში. ყდლები არის მარა შიგნით მოწყობილება სადღაა?.. არც რიგიანი სტოლები, არც დაფა და არც სხვა საჭირო სასწავლო საგნები. სოტა საბჭოს იმედი გვქონდა და ვეძუდარებოდით დაბმარებას, მარა უგულვებელს ჰყო მან ვედრება ჩვენი. ვის გინდა მიმართო, სთხოვო დაბმარება? მრველში ამის შესახებ „არსაიდამ ხმა, არსით ძაბილი“. აქაური ახალგაზდები, კითხურის წყლის დამღვენი, სა-

კის სულში, მან უნდა დააკმაყოფილოს კიდევ იგი. დიდი უსამართლობა იქნებოდა, რომ შემდეგ კაცი მუდმივის ბედნიერების წყურვილით და შემდეგ საუკუნოდ მოესპო იგი, როგორც ქვეყნიერი და წარმავალი.

2) როგორც კაცის ბუნებას სწყურია უკვდავება, ასევე ჩვენი ვონებაც ამტკიცებს, რომ კაცის სიკვდილით არ შეიძლება მოისპოს მისი არსებობა. ეს საბუთი მას გამოჰყავს შემდეგის ფაქტიდან: დაურღვეველი ფაქტია, რომ, ქვეყანაზე მართალნი ყოველთვის არ ღებულობენ შესაფერს ჯილდოს და ცოდვინი შესაფერს სასჯელს, მაგრამ ღმერთი კი ყველას შიამებს საქმეთა მისთაებრ. ჩვენი ვონება გვეუბნება: რადგანაც ეს ამ ქვეყანაზე არ არის, ამიტომ უნდა იყოს კიდევ სხვა ცხოვრება; სხვა სიტყვებით: სული უნდა იყოს უკვდავი. შემდეგ, უეჭველია, რომ ბევრნი არ შეჩერდებიან ხოლმე დიდ ბოროტმოქმედებათა წინაშე, მაგრამ რა იქნებოდა, რომ კაცს არა ჰქონდეს შიში საიქიოს სასჯელისა? რა შეიკავებდა ენებას და აიძულებდა კაცს თავის თავთან საბრძოლველად? მხოლოდ აზრს შესახებ იმისა, რომ ჩვენი სულის სიკაცხლე გაგრძელდება საიქიოსაც შეუძლიან გაგვაძლიეროს ბრძოლაში ბოროტების წინააღმდეგ. ამრიგად, სიკვდილით ყოველივე არა თავდება.

### კვირიდან-კვირამდე.

ძვირფასი მამულიშვილი არჩილ ჯორჯაძის ცხედარი მიაბარეს მიწას 25 მარტს თბილისში დიდუბის ეკლესიის ვაღავეანში. გასვენებას აუარებელი ხალხი დაესწრო.

განსვენებულმა ყველა თავისი ნაწერები უანდერბა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, მეტი ქონება მას არაფერი დარჩენია.

დასაფლავების დღეს და წინა დღეებში გაზეთები საულოფიარო არმიებით გამოვიდნენ

აღსავე შემადრწუნებელი წერილებით და დეპეშებით.

ის ღვდლები რომლებსაც 300 მ. აქეთ ჯამაგირი, ყოველივე გადასახადის გამოკლების შემდეგ ხაზინიდან მიიღებენ 23 მ. 14 კ.; ხოლო მედავითნეები, რომლებსაც 100 მ. აქეთ მიიღებენ, ყოველივე გადასახადის გამოკლების შემდეგ 7 მ. 93 კ.

ქურნალ განთიადის თებერვლის ნომერი მალე დაურიგდება ხელის მომწერთ. რედაქცია ბოდიშს იხდის დაგვიანებისთვის, რომელიც გამოწვეულია მისგან დამოუკულებელ მიზეზების გამო.

ქართველი საზოგადოება სიხარულით მიეგება იმ აზრს რომ შოთას ძველი დაუღვან თბილისში. თავის სიხარულს და თანაგრძობას ამ დიად ეროვნულ საქმეში ბევრნი გაზეთების ფურცლებზე გამოისტუმრებენ.

ქ. კიევის ეპარქიაში იქაურ სასულიერო სასწავლებლებში რევიზიას ახდენს ბ. ტიხომიროვი. რევიზია გამოიწვია იმ ვარემოებამ, რომ ადგილობრივი მაღალი სამღვდლო პირები უკმაყოფილონი არიან მითი, რომ სემინარიელებთან შორის ფებს იკიდებს „ვამბრწნელი მიმართულება“. მაღალი სამღვდლოება მითიც არის უკმაყოფილო, რომ სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში კუდათ არის დაყენებული რუსული ენის სწავლება. სემინარიის მასწავლებლები სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს დებენ ბრალს, ხოლო სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები სემინარიისას. რომლებიც ვითომც მოწაფეების მიღების დროს ძალით ქრიან მათ შევირდებს.

22 მარტს მიტროპოლიტ ფლავიანეს თავმჯდომარეობით მოხდა კრება კომისის, რომ

ქვილით არ დაიშურებენ მანეთებს, აქ კი გროვსას აზრად გაიმეტებს. ნეტავი „ნაკადული ან ჯეჯილი“ გამოგვაწერ შკოლისათვის! მარა რით და რა საშუალებით? რითი გინდა ხვირიანათ უწინამძღვრო შკოლის საქმეს, ბავშვების აღზრდას!

წარმოვიდგენდი რა ამას და ვადარებდი ჩემ თავს ზემოხსენებულ შკოლების ბედნიერ გამგე—მასწავლებლებს, გული მიწუხდა, სული მიღონდებოდა და შეენატრადი მათ მე უთანაგრძობოთა და მარტოკა მყოფი, და მებარბებოდა მათი ბედი.

მაგრამ უფალმა არ დამტოვა მე ობლად. აი ამა წლის 23 თებერვალს მე ვღებულობ წერილს ბ. ვლადიმერ ჯიბოსძე წერეთლისაგან შემდეგი შინაარსისას!

1) „თანამდ თქვენი წინადადებისა მე გამოვიწერე ჟურნალი „ნაკადული“ თქვენი შკოლის სახელზე და მიიღებთ უსათუოდ. 2) ეხლა გიგზანით „შრომის კაც-შირის და „კოპერაპისი,“ ჟურნალებს, რომელიც ჩემი სკოლის პედაგოგების სახელზეა გამოწერილი და ამასაჲ მიიღებთ ყოველ კვირაში ჭიათურაში—შკოლის სასარგებლოთ. 3) გზის შეკეთებისა და ხიდის გაკეთების თაობაზე წერილობითი თხოვნა მივეცი ჭიათურის ნაწილის ბოქაულს და იმედი მაქვს დახმარებას გაგიწევს, და სხვ. ისით რას ნიშნავს ეს ბარათი ჩემთვის? რას ნიშნავს მშვიერისთვის საქმელი? მამლარი მშვიერს არ უჯერის ხშირად შიმშილს. შეიძლება აქაჲ ასე მოხდეს. ამ წერილმა მე კი წელში გამმართა, რადჲს მხნეობა შთამბერა და იმედებით აღმავსო, ვინაი-დგან აღმოჩნდენ გულშემატკივარნი და თანამგრძობნი პირნი, რომელთა დახმარებით იმედი ხალხის სასიკეთო საქმეს უფრო მოვაგვარებ. თითქმის ახლა დავიბადეთქო, ისე ვიგრძენი თავი, შემეყვარდა შკოლა, შემეყვარდა ჩემი თავიჲ და შემეყვარდა წერილის მომწერიჲ. ეს წერილი და გაზეთები იმ დროს მივიღე, როცა ხალხთან ერთად ვიჯექი ეკლესიის გალავანში. ყველამ, დამსწრეებმა მადლობა გადაუხადეს ბ. ვლადიმერს, ცხო-ნება შეუთვალეს მამამისს განსვენებულს ჯიბო წერეთელს, რომლის გავლენით და შთაგონებით აუშენებია ხალხს მშვენიერი თლილი ქვის ეკლესია; თან იმედი გამოთქვეს, რომ ზემოხსენებულნი პირნი უსათუოდ დაეხმარებიან მათ საუდრის მხატვრობის მოპოებაში და ხიდის გაკეთებაშიდაჲ, რაჲს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ვეჲს ჩემის მხრით დიდი იმედი მაქვს ბ. ვლადიმერისა და ქან პეტისა, რომ ისინი, როგორც შეგ-

ნებულნი, კეთილი გულის მექონნი არ მოაკლებენ ყურადღებას და აღმოუჩენენ შემწეობას როგორც შკოლას, ისე ეკლესიას, მით უმეტეს რომ აქ, მტკბერეთში, მათ აქვთ დიდი საფასური მამული, ტყიანი მთები.


გამგე შკოლისა მღვ. დომენტი ლოსაბერიძე, ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძე თქვენი პატივსემული გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადო როგორც ჩემის მხრით, ეგრეთვე ჩემის სამრევლოს მხრითაც. ქვემოთ მოხსენებულთ პირთ, რომელთაც მტკბერეთის ეკლესიის სასარგებლოთ და გასამშვენებლოდ შემოსწირეს ფულები: 1) დიმიტრი ბურჯანაძემ შემოსწირა ექვსი მანეთი, რომლითაც მოპოებულ იქნა სასესხლური, ოთია, კოტე, დოროთე, და ილიკო ნოზაძეებმა, ელისაბედ ნოზაძისამ და თათია ნუფარიძისმა ათ-ათი შაური სოლომონ ბურჯანაძემ, გიო და პეტრე ნუფარიძემ 25 კ. თიომ, თითო აბახი: გიო გელაშვილმა, ხაქარია და მარიამ ნოზაძეებმა, პაულე ბურჯანაძემ, დარია ნოზაძისამ და უსნობმა. 10 კ. ბიჭია ბლიაძემ, სალომე ნოზაძემ, ანეტა მულაძემ და შურამანა ნოზაძემ. სულ შედგა ხუთი მანეთი და 35 კ. რომლითაც იქნა მოპოებული ტრაპეზის წინ და აღსავლის კარებში დასაფენი ფარდაგი. მალხაზ ბურჯანაძემ შემოსწირა ორი ხატი: ერთი „დიდება საკათალიკოსო საქართველოს ეკლესიისა და მეორე მაცხოვარი გეტსამანიის ბაღში მლოპველი (Моление о царѣ) ორივე ღირებული 13 მანეთად.

შენ უფალო ნასვლად ადიდენ იგინი საღვთოთა ძალითა შენითა!


მღვ. დ. ლოსაბერიძე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე. გამომცემელი იოსებ ლევაია.



კახაივის ქუჩა, № 17,

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს ასრულებს დროზე და სუფთათ.



# „КАВКАЗСКАЯ ШКОЛА“

## ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

ИЗДАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ

При ближайшемъ участіи г. г. И. А. Акунова, П. И. Казанцева, Н. М. Спиліоти, Э. Султанова и многихъ другихъ мѣстныхъ педагоговъ.

Программа журнала: 1. Статьи по теоретическимъ и практическимъ вопросамъ умственного, нравственного, физического воспитанія, образованія и самообразованія. 2. Психологія, экспериментальная педагогика. 3. Семейная и школьная жизнь Кавказа съ точки зрѣнія интересовъ воспитанія и образованія. 4. Художественное образованіе, рисованіе, дѣлка, ручной трудъ, музыка и пѣніе. 5. Природовѣдѣніе и образовательныя экскурсіи. 6. Школьная гигиена. 7. Критика и библиографія. 8. Школьная жизнь: корреспонденція, статистика, хроника и новости. 9. Почтовый ящикъ: вопросы и отвѣты. 10. Объявленія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА, на 1 годъ съ доставкой и пересылкой—3 р. полгода—1 р. 50 к., 4 мѣсяца—1 руб., для сельскихъ учителей съ доставкой и пересылкой на 1 годъ 2 руб., на полгода—1 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ магазинѣ Т-ва „ПЕСТАЛОЦЦЫ“, Михайловскій пр., д. № 101.

Денежныя и всякія корреспонденціи направлять по этому же адресу съ припиской: Для „Кавказской школы“.

Редакторъ-издатель Х. Самузянъ.